ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 154 (19295) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1985 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲡᲕᲚᲘᲗ ᲡᲚᲙᲐ XXVII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲬᲚᲡ — ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲠᲣᲯᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲒᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲚᲔᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 25.222 ᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲝᲙᲠᲘᲔᲑᲘᲗ 26.052 ᲢᲝᲜᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲓᲐᲓᲔ ᲨᲔᲡᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲙᲠᲘᲔᲑᲘᲗ 23.610 ᲢᲝᲜᲐ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ.

ᲜᲐᲠᲣᲯᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲮᲝᲜᲘᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲗ ᲐᲠᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲔᲜ 6.500 ᲢᲝᲜᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲛᲝᲕᲐᲜ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲜᲐᲠᲣᲯᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲮᲝᲜᲘᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲗ ᲐᲠᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲔᲒᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲔᲜ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲢᲚᲘᲗᲘᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐᲓ.

ᲤᲝᲗᲝᲗᲔᲑᲖᲔ: ᲜᲐᲠᲣᲯᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲮᲝᲜᲘᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲗ ᲐᲠᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲔᲒᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲔᲜ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲢᲚᲘᲗᲘᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐᲓ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲠᲔᲒᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲡ

ᲡᲐᲛᲗᲝᲛᲝᲚᲘ ᲥᲘᲛᲘᲙᲘᲡᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ

„ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲗᲝᲛᲘᲥᲘᲛᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐ ᲒᲐᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲐᲚᲘᲥᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲔᲠ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

„მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და მათი ოჯახების წევრთა საკვლევი უზრუნველყოფის შესახებ“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრებულების ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი **საბჭო იდგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 22 მაისის ბრძანებულება „მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და მათი ოჯახების წევრთა საკვლევი უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 3 ივლისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრებულების ბრძანებულებათა, დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი **საბჭო იდგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1985 წლის 21 იანვრისა „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1985 წლის 1 თებერვლისა „არასრულწლოვან ბავშვების გამოალმენტის გადახდევინების წესის ზოგიერთი ცვლილების შესახებ“;

1985 წლის 12 თებერვლისა „სამხედრო საავტომობილო ინსპექციისთვის საგზაო ნიშნების წესების დარღვევის თაობაზე ზოგიერთი საქმის განხილვის უფლების მინიჭების შესახებ“;

1985 წლის 5 მარტისა „სსრ კავშირის სახელმწიფო ჯილდოებისადმი უკანონო მოქმედებისათვის პასუხისგებლობის შესახებ“;

1985 წლის 18 მარტისა, რომელიც ეხება „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობის მხედრული სამსახურის თაობაზე სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის“ „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ნაწილში — I მუხლი;

1985 წლის 2 აპრილისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისტემის სამართლის კანონმდებლობაში და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საკუთრებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის“ შესახებ“;

1985 წლის 16 მაისისა „ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 3 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ი. ი. ბოდიულის განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი **საბჭო იდგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 30 მაისის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ივანე ივანეს ძე **ბოდიულის** განთავისუფლების შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 3 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი **საბჭო იდგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1984 წლის 20 დეკემბრისა, რომ დაინიშნოს ამხ. სერგი გორბაგის ძე **შჩერბაკოვი** სსრ კავშირის განათლების მინისტრად და განთავისუფლდეს ამ მოვალეობისაგან ამხ. მიხეილ ალექსის ძე **პროკოფიევი** თანახმად მისი თხოვნისა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

1985 წლის 12 თებერვლისა, რომ განთავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ ალექსის ძე **მალცევი** სსრ კავშირის ნაკთობის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1985 წლის 12 თებერვლისა, რომ დაინიშნოს ამხ. ვასილ ალექსანდრეს ძე **დინკოვი** სსრ კავშირის ნაკთობის მრეწველობის მინისტრად და განთავისუფლდეს იგი სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან;

1985 წლის 12 თებერვლისა, რომ დაინიშნოს ამხ. ვიქტორ სტეფანეს ძე **ჩერნომაზინი** სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრად;

1985 წლის 27 თებერვლისა, რომ განთავისუფლდეს ამხ. პეტრე ანდრიას ძე **ახრასიმოვი** სსრ კავშირის უცხოთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1985 წლის 7 მარტისა, რომ დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ იაკობის ძე **პავლოვი** სსრ კავშირის უცხოთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ;

1985 წლის 22 მარტისა, რომ განთავისუფლდეს ამხ. პეტრე სტეფანეს ძე **ნეპოროჟნი** სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1985 წლის 22 მარტისა, რომ განთავისუფლდეს ამხ. ანატოლი ივანეს ძე **მაიორეცი** სსრ კავშირის ელექტროენერგეტიკისა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1985 წლის 22 მარტისა, რომ დაინიშნოს ამხ. ანატოლი ივანეს ძე **მაიორეცი** სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრად;

1985 წლის 7 მაისისა, რომ დაინიშნოს ამხ. გენადი პეტრეს ძე **ვორობიოვი** სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრად;

1985 წლის 7 მაისისა, რომ განთავისუფლდეს ამხ. ივანე დიმიტრის ძე **ხოხლოვი** სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1985 წლის 7 მაისისა, რომ დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ არკადის ძე **ბრეჟნევი** სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 3 ივლისი.

დეპუტატ გ. ა. მეტონიძის სიტყვა

(თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! მე, მუშაკაცს, დიდი კმაყოფილება მომანიჭა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მიერ კანდიდატად მოთხოვნამ, რომ ყველასი და თითოეულის კეთილდღეობა მკაცრად იყოს დამოკიდებული შრომითს წვლილზე, შრომის როდენობასა და ხარისხზე.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ბევრნი არიან ისეთები, ვინც (დღეობს იცხოვროს სხვების ხარჯზი, რადაც უნდა დაუჯდეს მოიხვეჭოს რაც შეიძლება მეტი, ხოლო მომხვეჭელის ფსიქოლოგიიდან, მუქთახორობიდან, როგორც ცნობილია, პირდაპირ მიდის გზა კანონის დარღვევებისაკენ, მაშასადამე, უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რაც შეუძლებელი იქნება ყოველგვარი გადახრა ჩვენი ცხოვრების ნორმებიდან. ეს კი ხელგაეწოფება ჩვენ, ხელეწოფება საზოგადოებრიობას, რადგან ადამიანი ცხოვრობს, მისი ხასიათი და ყოფაქცევა ყალიბდება ყველას თვალწინ. ასეთია ჩვენი კოლექტივის აზრი, ასეთია, დარწმუნებულია ვარ, ყველ მშრომელის აზრი. და ჩვენ მადლობელი ვართ, რომ წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების საკითხებს ეიხილავთ საჯაროდ და საქვეყნოდ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

როცა ამ სესიისთვის ვემზადებოდი, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ და უფრო საგულდაგულოდ შევისწავლე, თუ როგორ არის საქმე ჩვენს რესპუბლიკაში. გასული ხუთწლეულის მანძილზე შემცირდა დანაშაულობათა რიცხვი, სამართალდარღვევები არასრულწლოვანთა შორის. ანდა, ავიღოთ ასეთი მაგალითი. რესპუბლიკის საავტომობილო პარკი ხუთი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი კი თითქმის 6 პროცენტით, ხოლო ამ შემთხვევების დროს დაღუპულთა რიცხვი 23 პროცენტით შემცირდა.

ყველა ამ მაჩვენებლის მიღმა, რა თქმა უნდა, დგას დიდი მუშაობა. მას უზრუნველყოფს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის ძალებით პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გეგმაზომიერი კოორდინაცია. ამ ჯგუფში ინილავენ ყველა პრობლემას, რომლებიც საზოგადოებრიობას აწუხებს. დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცებისათვის მუშაობის შედეგებს ყოველთვიურად აანალიზებენ, ხოლო ყოველი თვის დამდეგს ეს საკითხები გაკეთდა პარტიული აქტიების განსახილველად.

რესპუბლიკაში მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთათან სამინისტროების, უწყებების, სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა შეხვედრის პრაქტიკა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის არც ერთი საკითხი არ წყდება უჩვენოდ. კერძოდ, ჩვენ, ელშავალშენებლებს უკანასკნელ დროს ანგარიში ჩავგაბარეს ვაჭრობისა და ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრებმა, ქალაქის სამსახურების ხელმძღვანელებმა. სისტემატურად გვხვდებიან სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს პასუხისგებელი მუშაკები. ამ შეხვედრების სარგებლობა თვალსაჩინოა — შესაძლებლობა გვიძლევა გამოვთქვათ ჩვენი აზრი, ხელმძღვანელი ამხანაგები გვეთათბირებიან, გამოაქვთ თავიანთი დასკვნები. ხდება ხოლმე, რომ ეს დასკვნები გიულს გვტკენს. მაგრამ ესეც სასარგებლოა. ჩვენ ხომ, რა დასამალია, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაწუხებს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგიანობის. საქმეში, ამ ორგანიზაციის ზოგიერთი ადგილმარეგი მუშაკის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებაში.

ჩვენი აზრით, ასეთი გულსახდილი საუბარი, ასეთი შეხვედრები უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს პრაქტიკაში, უფრო ხშირად ეწყობოდეს. ამხანაგმა რეკუნკოვმა ხომ თბილისში თავისი ხანმოკლე ყოფნის დროს საჭიროდ მიიჩნია შეხვედროდა შრომითს კოლექტივს და ამისათვის ძალზედ მადლიერი ვართ მისი.

ღონისძიებათა საჭიროობა მათი წარმატებული განხორციელების დიდმნიშვნელოვანი პირობაა, და აქ მთავარია არ გვეშინოდეს გულახდილად ვისაუბროთ სირთულეებზე, არ გვეშინოდეს სიმართლისა, რაგინდ მკაცრი უნდა იყოს იგი. ხომ არის ცალკეული შემთხვევები, როცა უპატიოსნო ადამიანები, კარიერისტები რადაც გზებით აღწევენ პასუხსაგებ პოსტებს, ანგარების მიზნით იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას. იდრე თუ გვიან მათ ავლენენ, პასუხს აგებინებენ. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევებში? გვეხუმდეთ, საზრდო მივცეთ მითქმა-მოთქმას და ჭორებს? როგორც ჩანს, არა. რაოდენ მწარეც უნდა იყოს სიმართლე, იგი საჯაროდ უნდა ვთქვათ.

აი, ამის წინათ ჩვენთან თანამდებობიდან გაათავისუფლეს, პარტიიდან გარიცხეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიმცეს ნავთობპროდუქტების მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, რადგან იგი ძირითადად მფლანგველთა და მომხვეჭელთა მადას უზრუნველყოფდა. ამ განსაკუთრებული ფაქტის ამბავი აცნობეს მოელ პარტიულ ორგანიზაციას, ყველა შრომითს კოლექტივს. აღფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ამავე დროს ყველასათვის ნათელი გახდა — ყოველი თანამდებობის პირის პასუხისგებლობის საკითხი უაღრესად პრინციპიულად წყდება. პასუხისგებას ვერავინ ვერ გაექცევა. ჩვენ, მუშები, მთლიანად ვუჭერთ მხარს ასეთ პოზიციას. და, დამეწყნეთ, ძალიან გვაწუხებს, როცა ცდილობენ მიჩქმალონ ბოროტება, შეალამაზონ სინამდვილე.

მორალური კლიმატისათვის ყველა ჩვენგანი აგებს პასუხს. მე, მაგალითად, მთლიანად ვაგებ, პასუხს ჩემი ბრიგადისათვის. კოლექტივის ყოველ წევრს თავისი მოვალეობა, პასუხისმგებლობის თავისი საწყაო აქვს. მაგრამ კოლექტივი ხომ პიროვნებებისგან შედგება, თითოეულის პასუხისმგებლობისაგან იქმნება კოლექტიური პასუხისგებლობა.

ასეთი პასუხისმგებლობის ჩანერგვაგან, ჩვენი აზრით, ეფექტურად უწყობს ხელს ღია პარტიულ კრებებზე კომუნისტების ანგარიშების მოსმენისა და ამავე დროს მათი პარტიული დახასიათებების. დამტკიცების პრაქტიკა, რომელიც შარშან დაიწყო რესპუბლიკაში. დღეისათვის ამგვარი პარტიული ატესტაცია ჩვენს გაერთიანებაში უკვე გაიარა 39 კომუნისტმა, მათ შორის 22 მუშამ და ბრიგადირმა, 17 მოსამსახურემ. 12 კომუნისტმა მიიღო სერიოზული შენიშვნები და პარტიული სასჯელიც, ოცდახუთმა კი კვლავ უნდა ჩაგვაბაროს ანგარიში ერთი წლის შემდეგ.

როგორც ვიცით, რესპუბლიკაში ანგარიში უკვე ჩაბარა 35 ათასმა კაცმ წევრმა და წევრობის კანდიდატმა, ანუ თითქმის ყოველმა მეათემ. ხოლო კომისიამ, რომელიც რესპუბლიკაში ამ მუშაობას ხელმძღვანელობს, სათავეში უდგას ჩემი დიდი მეგობარი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწოს წევრი, საავიაციო ქარხნის მოშა ამხანაგი ტრიფონ ეახტანგის ძე როსტოშვილი. როგორც ცხადყოფს პირველი შეჯამები, ეს პრაქტიკა, მისი არაფორმალური განხორციელების პირობებში, უფრო დისციპლინებულს ხდის ადამიანებს, ზრდის მათს პასუხისგებლობას მნიდნი ადამიანებისთვის, წინა პლანზე აყენებს კომუნისტის პირად მაგალითს.

ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის, რომ კომუნისტის ანგარიშის შემდეგ ამტკიცებენ მის პარტიულ დახასიათებას. პირადად ჩემთვის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ბევრმა ამხანაგმა, ბევრ ადგილას, ეს ბევრ ადგილას, ეს ბევრ ადგილ, ეს ბევრ ადგილ, ეს ბევრ ადგილ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ■ ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო კანადის ყოფილი პრემიერ-მინისტრი პ. ე. ტრიუდო, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად იმყოფება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის მოწვევით.

გულთბილად მიესალმა რა სტუმარს, პ. გ. გილაშვილმა აღნიშნა, რომ პიერ ელიოტ ტრიუდოს კარგად იცნობენ და პატივს სცემენ ჩვენს ქვეყანაში, ხაზი გაუსვა მის წვლილს ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის სხვადასხვა დარგში სსრ კავშირისა და კანადის პოლიტიკური დიალოგისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებაში.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ამქვეყიერ საერთაშორისო პრობლემებზე და საბჭოთა კავშირ-კანადის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. აღინიშნა, რომ მხარეებს აქვთ საერთო მოსწრაფება, რათა ამ ურთიერთობის დინამიკა ინარჩუნებდეს შეუნელებელი განვითარების მყარ ტენდენციას ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დღეს სიმშვიდე არ არის მსოფლიოში, თქვა პ. გ. გილაშვილმა. გაზრდილი დაძაბულობის პირობებში საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავს საერთაშორისო ასპარეზზე მოვლენათა განვითარებაში უკეთესობისაკენ მტკიცე შემობრუნების უზრუნველყოფას. დასავლეთის ბანკირებლებურმა, კონსტრუქციულმა მიდგომამ შვიდობის შენარჩუნებისა და გამლეობული შეიარაღების ალაგმვისადმი ბევრად შეიძლება შეუწყოს ხელი მსოფლიოში ვითარების ძირეულ გაუმჯობესებას, ბირთვული ომის თავიდან აცილებას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას.

ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ უმაღლესი დონის მეხვედრას ჟენევაში, საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალურ ვიზიტს, რომელიც შედეგებზე ბევრად არის დამოკიდებული კომუნისტო სივრცეს მილიტარიზაციის თავიდან აცილება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

პ. ე. ტრიუდომ მადლობა გადაიხადა ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რომლითაც გარემოსილი არიან იგი და მისი ოჯახი საქართველოში, გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და კანადის ურთიერთობა კვლავაც განვითარდება სტაბილურად, დინამიკურად ორი ქვეყნის ხალხთა. ქვეყნად შვიდობის ინტერესებისათვის. მან პ. გ. გილაშვილს სთხოვა მოულოცოს და ყოველივე საუკეთესო უსურვოს ე. ა. შევარდნაძეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად არჩევასთან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მაღალ პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ო. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჯ. ა. ჭიპაშვილი.

ᲒᲣᲚᲗᲐᲦᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ოთხ დღეს იყვნენ გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ჰერიერტ მისი და გერმანელთა კომპარტიის გამგეობის სამდივნოს წევრი ზეა მაირი. მათ დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ თელავში.

4 ივლისს სტუმრებს შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე. საუბრის დროს ჰერიერტ მისმა მადლობა გადიხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შრომას.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი აქტიურად ებრძვება საბჭოთა კავშირის კომუნისტთა მომავალი უმაღლესი ფორუმის — სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ამხანაგი გ. ნ. ენუქიძე სტუმრებს ესაუბრა იმაზე, თუ რა მუშაობას ეწევა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, როგორ იბრძვის შვიდობის განმტკიცებისათვის, რომლის ფასიც კარგად იცის ქართველმა ხალხმა.

ჰერიერტ მისმა განაცხადა, რომ რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს მათ ნახეს მერიკ მსოფლიო ომის ბრძოლის ველიდან შინმოსვლელთა ხსოვნის პატივსაცემად აღმართული ბევრი მემორიალი.

— ჩვენ კარგად ვიცით, რა არის ომი, ამიტომ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან არ დაიწყოს ახალი ომი, — ხაზი გაუსვა მან.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების სექტორის გამგე ვ. ს. რიკინი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ჯ. ჯ. ჩხეიძე.

იმავე დღეს სტუმრები სიმფერიპოლში გაფრინდნენ.

(საქინფორმი).

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1985 Წ.

ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲔᲚᲐᲓ — ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგები ხაზგვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ეროვნულის ცენტრშია. აქვეკეთებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის სესიაზე, სხვადასხვა ქვეყნის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი გულდაჯერებით მიბიჯებს ეკონომიკის ინტენსიური განვითარების, წარმოების ტერუქტურული გარდაქმნის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების, მშვიდობის განტკიცებისთვის ბრძოლის ჭეშმ. თვალსაჩინო ადგილზე დაბეჭდილია ცნობები იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ აირჩია პ. ა. ბრმოვიკ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და დანიშნა ე. ა. შევარდნაძე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად.

„სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: მტკიცდება პარტიის ხელმძღვანელი როლი საზოგადოებაში, აზრდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიროს ნუშაობის ინტენსიურობა“, „აქტიური ადმშენებლობითა სამრეთობა ახალი დიადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით“, „განუხრელად — ლენინური გზით“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ სესიის მასალებს ბულგარული გაზეთები.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ქვეყანას ახლა პასუხსაგები მომენტი დადგა, წერს უნგარული **„ნეფსაბადშაგი“**. განსაზღვრულია სტრატეგიული კურსი უახლოესი და შორეული პერსპექტივისათვის, აბუშავებენ პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას, რომელსაც მიიღებს სკკპ XXVII ყრილობა. საბჭოთა კავშირის წინაშე ისახება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, როგორიც არის ინტენსიური განვითარების რელსებზე ეკონომიკის გადასვლა, წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, მართვის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი გზის შეიძლება მოჰყვეს, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გააქტიურდეს საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის საქმიანობა, დაირაზომოს მასები დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად, წერს **„ნოიეს დოიჩლანდი“** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ყოველივე ეს ითვალისწინებს საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომ განმტკიცებას, მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიროს ნუშაობის ინტენსიურობის ამაღლებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ სესიაზე განხილეს მართლწესრიგის განმტკიცების, საბჭოთა მოკალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხები, და წერს, რომ მტკიცე კანონიერება სოციალისტური დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობის მკაცრი დაცვის განუყოფელი ნაწილია.

ალბანური **„ტრიბუნა ლუდუ“** ყურადღებას მიაპყრობს იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სესიაზე განხილულ საკითხებს, მათ შორის ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხს. როგორც ხაზგასმით აღინიშნა სესიაზე, წერს გაზეთი, ჩვენი პლანეტის ბუნებას, თვით ქვეყნად სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების მიზეზით მზარდი გამლეობული შეიარაღება, კოსმოსში მისი გადატანა, თერმობირთვული ომის გაჩაღების საშიშროება. ამ ავანტიურისტულ გეგმს შეიძლება მოჰყვეს კატასტროფული შედეგები, დედამიწის მთელი ცივილიზაციის დალუპვა.

რუმანული **„სკინტეია“** წერს, რომ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა აღნიშნა, პარტია კვლავაც განახორციელებს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის „გაკეთილშობილებას“, საბჭოთა ხალხის როლის ამაღლებისა და თითოეულ ოჯახში, თითოეულ ქალაქსა და სოფელში საქმის მდგომარეობისათვის მეთი პასუხისმგებლობის გაძლიერების გზზს. დასახული უკეთ გამოიყენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური უფლებამოსილებანი და ფართო პრაქტიკული შესაძლებლობანი ქვეყნის ცხოვრების საკანონო საკითხების განხილვისათვის, მართვის ორგანოების კონტროლიანობის, კანონმდებლობის სრულყოფისა და საბჭოების მოშობის გაუჭრობესებისათვის.

სესიის მიმდინარეობა ადასტურებს, რომ სსრ კავშირი ადგას სანელმწიფო ხელისუფლების მეშდგომი განმტკიცების, ყოველივე იმის ალმოფხვრის კურსს, რაც შეიძლება მეფფერხოს საბჭოთა კავშირის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, იუწყება კუბის **„პრესა ლატინას საააგენტო.** ყოველივე ეს მთლიანად შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებულ დებულებებს.

საზღვარგარეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სესიაზე დადასტურდა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეოპოლიტიკური კურსი. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური საკითხები უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად მიიჩნია, მაგრამ არა საგარეო პოლიტიკის საზიანოდ, რომელსაც იგი ჭეშტარად ახორციელებს, აღნიშნავს ინგლისის გაზეთი **„ტაიმსი“**. სსრ კავშირის სტრატეგიული და პოლიტიკური მოსაზრებანი „კოსმოსური ომების“ პროგრამის წინააღმდეგ, წერს მეორე ინგლისური გაზეთი **„უაინგზლ ტაიმსი“**, ხაზს უსვამენ ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკებაზე საბჭოთა კავშირის პოზიციის სიმტკიცეს და პრინციპულობას.

„ყოველივე, რაც ითქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, — წერს იაპონის გაზეთი **„იომიური“**, —მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი გეზი უცვალელი რჩება. სსრ კავშირი კვლავაც შეეცდება მიაღწიოს ამერიკის შეერთებული შტატებისგან პროგრესს ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკებაზე და იღვაწეს, რათა შეაჩეროს ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“. ამავე დროს სსრ კავშირი განაგრძობს თავის წინანდელ კურსს, რომლის მიზანია დასავლეთთან ვაჭრობისა და სხვა პრაქტიკული ურთმრეობის განვითარება“.

ᲘᲠᲐᲜ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲑᲔᲘᲯᲘᲜᲒᲘ. დამთავრდა ირანის მეჯლისის (პარლამენტის) თავმჯდომარის ა. ა. ხაშემი-რაფსანჯანის ვიზიტი ჩინეთში. პრესა აღნიშნავს, რომ ეს იყო ასეთი მაღალი დონის პირველი ვიზიტი ირანიდან ჩინეთის სახლეხო რესპუბლიკაში, აქ მოსული ცნობებით, ირანის პარლამენტის მეთაური მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ლი სიანნიანმა, ჩინეთის სხვა ხელმძღვანელებმა. მან მოლაპარაკება გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ჯაო ძიანთან.

ჟურნალისტთა წრეებში ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ თუმცა მხარეებმა დაახასიათეს ვიზიტი როგორც წარმატებული, მაგრამ ირანელებმა ვერ მიაღწიეს ჩინეთის ხელმძღვანელობის საჯარო ვამოსვლას ირან-ერაყის ომის მიმართ ირანის პოზიციის მხარდასაჭერად. მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნავენ, არის საფუძველი მივიჩნიოთ, რომ პეკინში ყოფნის დროს ა. ა. ხაშემი-რაფსანჯანმ დაითანხმა ჩინეთის მხარე განახორციელოს თანამშრომლობა სამხედრო დარგში, კერძოდ, მიაწოდოს ირანს ზოგიერთი სახეობის იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა ჩინეთისათვის შეღავათიანი პირობებით ირანის ნავთობის მიყიდვის სანაცვლოდ.

ᲞᲔᲠᲣ

ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲓᲐᲒᲛᲔᲡ

ᲚᲘᲛᲐ. ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ხალხებთან სოლიდარობის პერუს კომიტეტმა მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება, რომ პრეზიდენტ რეიგანს მიანიჭოს უფლებამოსილებანი გაგზავნოს ჯარები ნიკარაგუაში კანონმდებელობა ინ ანალიზ ეროვნული ეკონომიკური დამოუკიდებლობის შემდგომ განმტკიცებას, პროცესებზე ეროვნული ბანკირების ინიციატივა, ეროვნული ბანკირების ინიციატივა, ეროვნული ბანკირების ინიციატივა,

ხელოვნის საპატიო მისია

„ყრილოვიდან-ყრილოვამდე“ — ასეთი დევიზით მოეწყობა საქართველოს სახელოვნებისა ოსტატების ნაწარმოებთა გამოფენა. სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ფერმწერების, გრაფიკოსების, მოქანდაკეების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების ნაშუშარები, რომლებიც სახელოთა საქართველოს დღევანდელობას და მისი ინტერნაციონალური ხელოვნის ნიშნებსებს ასახავენ.

— თავის იდეოლოგიურ, ესთეტიკურ-ემოციურ მოქმედებაში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა **ელგუჯა ამაშუკელმა,** — რომელიც ხალხის სულიერი კულტურის ალმაცლოსის ისახავს მიზნად, პატრიოტიკისა და ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა იმედიც აქვს. ისინი მოწოდებული არიან თავიანთი შემოქმედებით აამაღლონ საბჭოთა მშრომელის ღირსება, ფრთა შეასხან მას ახალი მიღწევებისათვის. რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატები ცდილობენ, რაც შეიძლება ახლოს იყვნენ მშრომელთებთან, იყვეტდნენ მათთან კონტაქტის სხვადასხვა ფორმასა და მეთოდებს. ერთი მათგანია შემოქმედებითი მივლინებები, რომელთა შედეგად თემატიკური ექსპოზიციები ეწყობა ხოლმე. მხატვართა კავშირი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ასეთ ექსპოზიციებს. მარტო ბოლო წლებში მოეწყო გამოფენები „სსრ კავშირის შემქმნის 60 წლისთავი“, „საბჭოთა საქართველოს 60 წელი“, „ეკონომიკურ-სოციალურ ტრანსფორმაციის 200 წლისთავი“. ამ ბოლო დროს მოეწყო რესპუბლიკური ექსპოზიცია, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა.

თემატიკური გამოფენების გარდა რესპუბლიკაში რეგულარულად ეწყობა საქართველოს მხატვრების ნაძეშეგართა ჯგუფური და პერსონალური გამოფენები, რომელიც ახლა გაეცალებით ხელმისაწვდომი გახდებ ამის წყალობით, რომ ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში გაიხსნა სურათმორისო გალერეები, ეწყობა მოძრავი ექსპოზიციები. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ექსპოზიციებმა, რომლებიც იმართება დღევანდელ „ხალხთა მეგობრობაზე“. ამ ღონისძიებებში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების ფუნჯისა და საკრეთლის ოსტატები, მარტო თბილისელებმა რესპუბლიკის დედაქალაქის სხვადასხვა დარგში ნახეს თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ბრწყინვალენი ლა სომეხი მხატვრების, მოსკოველი მხატვრების ვ. კეიდანის, ბ. მესეტრარისა და სხვების ნაშეშეგართა გამოფენა.

თავის მხრივ ქართველი ფერმწერების, გრაფიკოსების, მოქანდაკეების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების ნამუშევრები დიდი წარმატებით გამოიფინება ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში. არ შეიძლება სიამაყე არ გვგრძნობინოს ახალგაზრდა მოქანდაკეების ჯ. ჯიქიასა და ი. მოსასელიძის წარმატებამ, რომლებიც შესაბამისად ოქრის და ვერცხლის მედლები მოპოვეს პარიზში საერთაშორისო ექსპოზიციაზე, აგრეთვე გრაფიკოსი მხატვრის ბ. წერეთლის გამარჯვებამ, რომელიც იუგოსლავიასა და ბულგარეთში გაიხსნა სურათმორისო გალერეები, ეწყობა მოძრავი ექსპოზიციები. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ექსპოზიციებმა, რომლებიც იმართება დღევანდელ „ხალხთა მეგობრობაზე“. ამ ღონისძიებებში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების ფუნჯისა და საკრეთლის ოსტატები, მარტო თბილისელებმა რესპუბლიკის დედაქალაქის სხვადასხვა დარგში ნახეს თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ბრწყინვალენი ლა სომეხი მხატვრების, მოსკოველი მხატვრების ვ. კეიდანის, ბ. მესეტრარისა და სხვების ნამუშევართა გამოფენა.

ამ ბოლო ორ-სამ კვირეულში ეწყობა ექსპოზიციები, ეს ეხება ეროვნული ფერწერის, ეროვნული ბოლოდროინდელ ნაყოფებს, ეროვნული ბოლოდროინდელ ნაყოფებს, ეროვნული ბოლოდროინდელ ნაყოფებს